ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 145. ივლისის 6, პარასკევი. 1866—1884 ივლისის 6, პარასკევი. № 145.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზე“

ნახევარის წლით

ივლისის 1-დამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი.

არწრუნის თეატრი.

კვირას ივლისის 3-ს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება.

გ. ალექსეევ-მესხიევის დახმარებით

სამშობლო

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. საფაროვისა და ანდრონიკოვისა, ბბ. აბაშიძე, ქეზელი, მოხევე და სხვანი.

ტანისამოსები ახალი იქნება.

დასაწყისი $8^1/_2$ საათ.

## შინაური ქრონიკა.

═ ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ მეფე ერეკლეს ნაქონი თოფი, საჩუქრად თ. ბარიატინსკისთვის მირთმეული და თ. ბარიატინსკის დიდი სურათი, ეხლა ამ უკანასკნელის მემკვიდრეთა შეუწირავთ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისათვის.

ზემოხსენებული ძვირფასი ნივთი თ. ბარიატინსკის მემკვიდრეთ შეუწირავთ თავად აზნაურობისათვის მათის ბრწყინვალების თ. ბარიატინსკის მეუღლის კნეინა ელისაბედ ბარიატინსკის სურვილისამებრ.

═ ქსნის-ხეობიდამ გვწერენ, რომ მთელი ხეობა აქამომდე უსკოლოდ არის დარჩენილიო. იმოდენა დიდი სოფელი, როგორიც ახალ-გორია, დღემდე ხელს არ ანძრევს, რომ არა თუ ორ-კლასიანი და სამ-კლასიანი, არამედ ერთ-კლასიანი სკოლა მაინც გაიმართოსო. ფული დიდი ხანია იკრიფება სკოლისთვის სახემწიფო გადასახადთან ერთად და არც სკოლა და არც სასკოლო სახლი ჩვენ არ გვაბადიაო.

═ თელავიდამ გვწერენ, რომ თელავის საქალაქო საქმეებს განაგებს და მართავს ორი დეპუტატი,...

კორესპონდენტი ჩივის, რომ თელავის მცხოვრებლები დიდის გულგრილობით ეკიდება თავისავე საკუთარ საქალაქო საქმეებს, რისაგამოც ქალაქის საკუთრებანი სხვათა ხელში გადადიან სხვა და-სხვა მანქანების წყალობით და ამ მიზეზით ქალაქის შემოსავალს დღითი-დღე აკლდება, ხოლო გადასახადი კი ემატება ყოველ წლივ სხვა-და-სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ეს, რასაკვირველია, ჩვენივე ბრალია! იქ, სადაც არავითარი უფლება არა გვაქვს, ვჩივით და თავში ვიცემთ და სადაც კი ეს უფლება კანონით მონიჭებული გვაქვს, ჩვენს წარმომადგენლობას სხვას ვანდობთ, ჩვენის საქმეების მართვას სხვის ხელში ვსტოვებთ.

აი ამას ჰქვიან მოპოება უფლებათა, ამას ჰქვიან საკუთარის საქმეების საკუთრად მართვა...

═ იქიდამვე გვატყობინებენ შემდეგს: «ძალიან გაუფუჭებია თელავის გზა ბომბორზე ამ ბოლოს დროს წვიმებს, მაგრამ ჩვენ ის გვაკვირვებს, რომ ამ გზის გამგეობა არავითარს ყურადღებას არ აქცევს ამ გზას და არა ცდილობს საჩქაროდ გზის გასწორებას, რისგამო საშინელს ტანჯვას იტანენ მგზავრები და განსაკუთრებით მეურმეები და მეფურგუნეები, რომელთაც ღვინოები მოაქვთ თბილისში ანუ საქონელს ეზიდებიან თბილისიდამ თელავში. რომ ეს მართალია, იქიდამა სჩანს, რომ გზის იმ ადგილების გასასწორებლად, სადაც საჩქაროდ და გზის კარგად გაკეთებისათვის ათი კაციც არა კმარა, მხოლოდ ორი მუშა ცოდვილობს ხოლმე და ამოდენა მგზავრი სცდება, თვითონაც წვალობს და საქონელსაც აწვალებს. იმედია, რომ უმაღლესი მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამ გზას, მით უმეტეს, რომ «ზასტავოს» ფულს სრულიად და გაურჩევლად ახდევინებენ ყველას. ამ გზის მდგომარეობას, როგორც გუშინ იყო მოხსენებული ჩვენს გაზეთში, ადგილობრივმა უმაღლესმა მთავრობამ მიაქცია ყურადღება და, იმედია, რომ, დაპირებისამებრ, ამ წლის დამლევამდე, უთუოდ გაკეთდება და სრულიად კარგს მდგომარეობაში ჩავარდება.

═ თბილისის სასულიერო სასწავლებლის მმართველობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ ყმაწვილების მიღება სასწავლებელში დაიწყება აგვისტოს 25 და გაგრძელდება 28-მდე. თხოვნა უნდა მიეცეს სასწავლებლის ზედამხედველს არა უგვიანეს აგვისტოს 24. თხოვნასთან უნდა იქმნას წარდგენილი მეტრიკის ქაღალდი და მოწმობა ყვავილის აცრის თაობაზე. სასწავლებელი იმყოფება ავჭალის ქუჩაზე საკუთარს სახლში.

## გორის დეპოს საზოგადოება და მისი ორი კრება.

(გორიდამ)

განცხადების დაგვარად გუშინ, ე. ი. თიბათვის 30-ს დანიშნული იყო კრება გორის დეპოს საზოგადოებისა. შეგროვდა თვრამეტამდის წევრიც, მაგრამ კრება მაინც არ შესდგა. შემდეგ ორი-სამი საათის ტყუილ-უბრალო ლაპარაკისა საზოგადოების წევრნი თავ-ჩაღუნულნი გამოვიდნენ საკრებო დარბაზიდამ და აღშფოთებულის გულით წავიდ-წამოვიდნენ თავ-თავიანთ სახლებში. რა იყო მიზეზი ამ აღშფოთებისა და საზოგადო კრების დაშლისა? ამ კითხვის საფუძვლიანი პასუხი მოითხოვს ცოტა უკან დაბრუნებას, რადგანაც ამ წარსულში არის

---

«დროების» ფელეტონი ივლისის 6-ს

## გზა—გზა.

(მოთხრობა რუსულით)

(დასასრული *)

მე დავბრუნდი თუ არა შორაპოვოში, იმავე დღეს წაველი ლარინისასთან. მითხრეს, რომ ის საავადმყოფოშიაო; შეველ იქ და დიდად განცხოველებულ სურათს კი წავადეგ თავს.

დიდი ნათელი მისაღები ოთახი გაბრწყინვებული თავისის დიდრონი ფანჯრებით, ეხლა მთლად მიყრილ-იყო გაშლილი და შეხუჭუჭებული ნაძვის ტოტებით, რომელთ სურნელოვანება სასიამოვნოდ მოჰფენოდა ოთახს. ავადმყოფები—ქალი და კაცი, მხიარულის გაწითლებულის სახით, გულიანად ფუსფუსებდენ შუაში მდგარ ნაძვის ხის გარშემო, რთავდენ მას ყუთებით, კანფეტებით, ვაშლებით და სანთლებით. ლარინისაც ამათთან იყო. სხვაზედ უმეტესად მხიარული, მარდად დარბოდა ერთი ჯგუფიდან მეორესთან, უსწორებდა მათ საქმეს და თან ახალისებდა მასხარობით.

— ოჰ, თქვენა ხართ, კონსტანტინ ნიკალაევიჩ!—ალერსიანად მომიბრუნდა მე, როდესაც შემნიშნა.—არ გინდათ გვიშველოთ, დრო გაქვსთ? ჩვენ ხვალ გვექნება იოლკა ბავშვებისათვის. ჩემი ავადმყოფები, რომელთაც თქვენ აქ ჰხედავთ, დაჰპატიჟებენ თავიანთ ბავშვებს და ჩვენ ვიმხიარულებთ.

ის ამბობდა ამას ისეთის კმაყოფილების სახით და იმ წამს ისეთი გატაცებული იყო მომავალის სურათით, ხვალინდელი ყმაწვილების დღესასწაულით, რომ ჩემი გული უმეტესად შეიმსჭვალა იმ მოგონებით, რომ ისეთს წყენას უმზადებდა მას განგება.

«არა, მე არ შემიძლიან და არ მინდა ეს მხიარულება ჩავუშხამო, ვფიქრობდი მე და იმ ექიმის მდგომარეობაში ვიყავ, რომელიც თვალ-წინ ჰხედავს იმისთანა ავადმყოფს, რომელიც თავის არა-სახუმრო სნეულებას ვერ ამჩნევს და სწორედ იმიტომაც ისე ბედნიერია თავის უცოდინრობით და ექიმიც ვერ უბედავს უთხრას მას საშინელი, მაგრამ ნამდვილი გარემოება. არა, ეს ერთი მეტი დღე მაინც იყოს კიდევ ბედნიერი და ამასთან ეს ხალხიც, რომელიც ვერც კი წარმოიდგენს, თუ ასე მალე მოუხდება თავის ნუგეშის-მცემელთან გამოსალმება.

— თქვენ როგორღაც მოწყენილი ხართ, შეუძლოდ ხომ არა ხართ? არაფრით შემიძლიან გიშველოთ?—მზრუნველობით და მონაწილეობით მკითხავდა ლარინისა, რაკი შემამჩნია, რომ როგორღაც გაფანტული ვიყავი და თავს ძალას ვატანდი, მონაწილეობა რამ მიმეღო საერთო მხიარულებაში.

— დიალ, მე გზაში დავიღალე, ეს არის ამ საათში დავბრუნდი ქალაქიდან.

— მაშ, წამოდით ჩემსას და იქ დაისვენეთ. კარგად შეეხვიეთ შარფში,—ჩვეულებრივის სიჩქარით მეუბნებოდა იგი, ქუჩაში რომ მოვინდომე კარგად შევხვეულიყავ.

ქალაქიდან წამოსულმა გზაში მოვიაზრე—როგორ მომემზადებინა ნელნელა ლარინისა. იმის ნახვაზედ კი სრულებით დავიფანტე და აღარ მახსოვდა, საიდან უნდა დამეწყო. ნაწყვეტ-ნაწყვეტად მაგონდებოდა წინადვე შედგენილი აზრი და ვხედავდი, რომ სულ სხვა რამ გამოდიოდა. ამაზედ უფრო დავიფანტე და ავირიე.

— თქვენ რაღაც ძალიან სამძიმო რამე გაქვთ ჩემთან სათქმელი,—უცებ ხუმრობა გაშვებით და ჩაკვირვებით მითხრა ლარინისამ.—მითხარით სწორედ, რა ამბავია?

დავემორჩილე და ამოვიღე ჯიბიდან შავი-ბედის ქაღალდი და მივეცი. იმან წყნარად, სიტყვა-სიტყვაზედ, თითქო თავის-თავს არ უჯერებსო, წაიკითხა თითოეული სტრიქონი და უცებ საშინლად გადაფითრდა.

— მაშ, სულ, სულ გათავდა!—წარმოსთქვა მან იმ ხმით, რომელმაც თავიდამ ფეხებამდინ გამაჟრჟოლა და სახეზედ ხელცახოც-მიფარებული, სწრაფად წამოდგა და გავიდა ოთახიდან.

მეც წაველ, სრულებით მოშლილი და ვცდილობდი ავსცდენოდი საავადმყოფოს მოსამსახურეებს, რომელნიც გაოცებულები შემომყურებდენ.

«მშობელი დედის» წასვლის ამბავი

*) იხილე „დროება“ № 144.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამონასკული მიზეზი ერთისა და მეორისაც.

თუ მკითხველს თვალ-ყური უდევნებია ამ საგნისათვის, ეხსომება, რომ წარსული მაისის ხუთს იყო პირველად დანიშნული მოხსენებულ საზოგადოების კრება. ამაზედ წინ მოხდენილ საზოგადო კრებისაგან აღნიშნული და ცხადად განმარტებული იყო საგანი ხუთ მაისის კრებისა. ეს საგანი მდგომარეობდა შემდეგში: კრებამ თვის წევრთა შორის აირჩია სამი პატიოსანი, პირუთვნელი კაცი და მათ მიანდო გამოძიება დეპოს საქმეებისა და აღნიშვნა იმ გარემოებათა, რომელთაც შეასუსტეს და დასცეს დეპოს ალებ-მიცემობა. თვისი აზრი და შეხედულებანი ამ საგანთა შესახებ გამომძიებელ კომისიას უნდა წარმოედგინა მოხსენებულ ხუთ მაისის კრებისათვის. ხუთს მაისს შესდგა კრება. საზოგადოების წევრნი კარგა ბლომად შეგროვდენ დანიშნულს ალაგას. კომისიის წევრნიც, რასაკვირველია, აქა ბრძანდებოდენ. იგინი, როგორცა სჩანდა, სახუმაროდ არ იყვნენ აქ მოსულნი: ერთი გროვა ქაღალდები და შესავალ-გასავლის წიგნები ეწყოთ წინ; რავდენიმე თაბახიანი რვეული გამოძიების მოხსენებისა ეჭირათ ხელში და დინჯად, იმედიანად იცქირებოდენ აქეთ-იქით. აი, დაიწყო კრებაც. თავმჯდომარეობდა ბ. ა. ლ. ბუტენკო. კომისიის ერთი წევრთაგანი შეუდგა თავიანთ მოხსენების კითხვას. მაღალი ხმა მკითხველისა, მკაფიოდ გამოთქმა ლამაზად შემონასკულ წინადადებათა და ის ლოგიკური და ფაქტიური საფუძვლიანობა, რომელზედაც იყვნენ დამყარებულნი ეს წინადადებანი,—სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდენ მსმენელზედ. მაგრამ, ვაი ამ სიამოვნებას!.. იგი მოსცურავდა მწარე ნაღველის და შხამის ნაკადულებზედ, რომელნიც ჩქაფა-ჩქუფით მოჰქრიდენ კომისიის მოხსენების სტრიქონებში და ცხარე მათრახების მსგავს წინწკლებს დაუნდობრად აყრიდენ თავსა და პირში დეპოს საცოდავ დახლიდარსა და მმართველობის ბედნიერ წევრთა. საწყალი ჩვენი საცოდავი მწერალ-დახლიდარი!!. ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოთ, მკითხველო, ის მდგომარეობა, რომელშიაც ეს უკანასკნელი იყო ჩავარდნილი იმ ლამეს!! ამხანაგები და მასთან ერთად დეპოს მოწალმართენი გვერდზედ არსად არ უჩანდენ; ზოგი ამათგანი სრულიად არ მობძანდა კრებაზედ და იმათაც, ვინც იქ იყვნენ, თითქო ზურგი შეექციათ მისთვის და, ძველი ებრაელების მსგავსად, მხოლოდ ეს გაეგდოთ ცოდვის მოედანზედ გულნატკენი საზოგადოების და აღელვებულ კომისიის წევრთა წინაშე... ამბობენ კი, რომ ეს უკანასკნელი არც ისეთი დამნაშავეა, როგორც სხვებსა ჰგონიათო და თუ რაიმე დანაშაულობა მიუძღვის საზოგადოების წინაშე, ესეც მარტო მისი მოქმედებათა შედეგი არ არის, არამედ ორიოდ სხვასაც უდგია მასში ფეხიო!.. ამბობენ... მაგრამ, ჯანაბას ამ ჰორიკანა «ამბობენ»-ის თავი! ისა სჯობიან, მოვიცადოთ მესამე კრებამდის და მაშინ ფაქტების შემწეობით წარვუდგინოთ მკითხველს უტყუარი და საფუძვლიანი სიტყვა მოხსენებულ გარემოებათა შესახებ!.. გათავდა კითხვა მოხსენებისა *) და გაჩნდა დარბაზში გაცხარებული ბაასი. შემდეგ სხვებისაგან ცოტაოდენის ლაპარაკისა, წამოდგა თ. ნ. დ—ძე და, «ვითარცა მტრედმა ძმობისა და სათნოებისამ», კრებას მიმართა შემდეგის სიტყვებით:

«ბატონებო! ის შეცდომილებანი, რომელნიც კომისიას აღმოუჩენია დეპოს მწარმოებელთა მოქმედებაში, საყურადღებონი არიან, მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ყოველ ჩვენგანს ფეხი უდგია მათში: ჩვენ რომ გონივრულად და გაფთხილებით მოვკიდებოდით საქმეს, დღეს ამ შეცდომილებათა ხსენებაც არ იქნებოდა!.. ამიტომაც, ჩემის აზრით, უფრო კარგი იქმნება, რომ წარსულ ანგარიშებს თავი ვანებოთ ყველამ, ხელ-ახლად ამოვირჩიოთ საქმის მცოდნე და მიმყოლნი პირნი, გავალოთ დეპო და ძმურად გავწიოთ წინა.»

— მოითმინეთ, ბატონო, ცოტა!.. აღელვებულის ხმით იძახის კომისიის ერთი წევრთაგანი, ბ. მათე ქერესელიძე,—წინ წასვლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლო, პატიოსნური და სასარგებლო, როდესაც სასიარულო გზა გამოკვლეული გვექნება, როდესაც იგი იქნება სიმართლისა და უანგარობის სხივით განათლებული და არა მოსვრილი იმ საძაგლობით, ბოროტ-მოქმედებით და ზნეობრივი ჩირქით, რომლითაც შებღალულია ჩვენი დეპოს წარსული...

— საქმე რომ ამ ნაირად დარჩეს,—უმატებს ბ. ლ. გ—შვილი,—რომელი გიჟი შემოვა ჩვენი საზოგადოების წევრად. წარსულ შეცდომილებათა გაცნობა ყველგან და ყველასათვის სასარგებლოა. ჯერ გავიცნოთ იგინი, მოვიშოროთ თავიდამ, გავიწმინდოთ გზა მომავლისა და შემდეგ ძმურად დავადგეთ მას...

— ჯერ წარსული და აწმყო გამოირკვეს და მერმე ვიფიქროთ მომავალზედ!.. იძახის საზოგადოების უმრავლესობა *).

— კომისია წარსულს არ უნდა შეხებოდა,—ბძანებს თავმჯდომარე,—მას მხოლოდ წლევანდელი ანგარიშების გამორკვევა ჰქონდა მინდობილი, ამიტომ იურიდიულ უკანონობად მიმაჩნია კომისიის მოხსენების დიდი ნაწილი.

— აქ მეორე წევრი გამომძიებელი კომისიისა ბ. ზ. დავითაშვილი მიდის თავ-მჯდომარესთან ახლო და უკითხავს მას წინანდელი კრების განაჩენს, რომელიც კომისიას ვალადა სდებს გამოიძიოს ის გარემოებანი, რომელთაც დაასუსტეს და დასცეს დეპოს ალებმიცემობა... ეს გარემოებანი—საფუძვლიანად ამბობს კომისიის შესახებ წევრი ბ. შ. შიუკაშვილი—არა მარტო წელს გაეჩხირნენ დეპოს წარმოებას, არამედ, როგორც ფაქტები თვალ-საჩინოდ ამტკიცებენ, იმავ თავითვე მოსდევენ მას და ნელ-ნელა ახდენენ თვის განმხრწნელ გავლენას მის მოქმედებაზედ; ამიტომაც უსათუოდ და უეჭველად უნდა შევხებოდით მათ, თუ კი გვსურდა დარბაისლური გამოძიება საქმის ვითარებისა.

— ნამდვილი ჭეშმარიტებაა, ნამდვილი!!---იძახიან აქეთ-იქიდამ. ეს გულწრფელი ძახილი არა ერთხელ განიმეორა საზოგადოების დიდმა უმრავლესობამ, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთხელ არ დაათავა თავისი სიტყვა გარდაწყვეტილებამდის... ორატორები ცხარობდენ, ერთმანერთს არ აცლიდენ, ერთმანეთში ირეოდენ და მით საქმე უკანა რჩებოდა: დრო გადიოდა და ტყუილ-უბრალოდ ატეხილ ბაასს კი ბოლო არსად უჩანდა. ამ ნაირად შუაღამე გადავიდა და საქმე კი თავის წინანდელ წერტილზედ იყო შეჩერებული. ვინ იყო ამის მიზეზი?.. როგორც მკითხველიც დაინახავდა, პირველი მიზეზი ამისი საკამათო ბაასის უხერხული მართვა იყო: ერთის მხრივ სრულიად უალაგო ბაასი ჩა-

*) ამ მოხსენების შინაარსს ჯერ არ ვუზიარებ მკითხველს... სამართალი მოითხოვს, რომ სანამ მას საფუძვლიანად ჩავთვლიდეთ, მოვისმინოთ მათი სიტყვაც, ვისაც შეეხება მოხსენება.

*) საჭიროდ ვრაცხ განვაცხადო, რომ მე მხოლოდ აზრებს ვიხსომებდი და არა მათს სიტყვა-სიტყვით გამოხატულებას... იმედი მაქვს, ორატორები არ დამენდურებიან ამისათვის.

---

სწრაფად მოედო ახლო-მახლო სოფლებში. ხელ-ახლად რომ მომიხდა ქალაქში წასვლა, წამ-და-უწუმ მაჩერებდენ წინ შეხვედრილი გლეხ-კაცები, მკითხავდენ—მართალია, რომ „ჩვენი დედა" მიდის ჩვენგან? მე ვსცდილობდი ნამდვილი პასუხი არ მიმეცა, რადგანაც არ ვიცოდი, ისურვებდა ლარინისა თავის წასვლის ამბავი ადრევე განეცხადებინა, თუ არა.

რამდენისამე დღის შემდეგ, მე შეველ საავადმყოფოში. ლარინისა ავადმყოფებს ილებდა.

— თქვენ შეგიძლიანთ აქ დაგვიცადოთ მითხრა მან და განაგრძელა ჩვეულებრივის კეთილის გულ-მოდგინეობით ავადმყოფების სინჯვა და დარიგების მიცემა.

ამ დღეებში იგი საშინლად გამოიცვალა. თვალები ამღვრეოდა, ლოყები ჩაუცვივდა და მთლად თითონაც თითქოს უცებ დაბერდაო. როდესაც ის ელაპარაკებოდა ავადმყოფებს, ხანდისხან ხმა უკანკალებდა, თვალებში ცრემლები ერეოდა, რომელთაც მიბრუნდებოდა და საჩქაროდ მოიწმენდდა ხოლმე. უფრო მეტის გულ-მხურვალე მონაწილეობით, უფრო მზრუნველობით ელაპარაკებოდა იგი ავადმყოფებს, თითქოს იქ მოსული გლეხი—იმისი ნამდვილი შვილიაო და ენანება დიდი ხნით მოშორებაო. გლეხები ამას თვალ—საჩინად გრძნობდენ. იგინი არ გადიოდენ საავადმყოფოდან, მისაღებ ოთახში რჩებოდენ ყველანი, ელოდენ, ვიდრე იგი საქმეს გაათავებდა. როდესაც უკანასკნელი ავადმყოფი გასცდა კარებს, ლარინისამ მანიშნა გავყოლოდი თან თავის ოთახში, მაგრამ, ვიდრე იგი გავიდოდა, ოთახში წყნარად შემოვიდა ხანში შესული დედა-კაცი.

— აქ მოდი, დედავ,—სთქვა მან და ხელი დაუქნია თავისკენ ლარინას. იგი გაჰყვა თან მისაღებ ოთახში,—მეც მივაშურე იმათკენ.

— ქალბატონო!—შემოეხვია ლარინისას გლეხობა,—გვითხარი, მართალია, რომ ჩვენგან მიდიხარ?

— ოჰ, ნუ დაგვტოვებ ჩვენ, ლამაზო, ჩვენო გამომზრდელო,—ერთბამად შებღავლეს დედა-კაცებმა.

ლარინისა ჯერ გაყვითლდა, შემდეგ გაწითლდა, უნდოდა რიღასიც თქმა,—მაგრამ სახე დაეღრიჯა, ხელი გაიქნია და სწრაფად გავიდა. მე მივაშურე იმის ოთახს, წყნარად მიუახლოვდი, მივუჯექ გვერდით სკამზე და დავუწყე ლაპარაკი.

— კმარა მაგდენი მწუხარება, ანნა ანდრეევნა! მე კარგად მესმის და ვიცი, რომ თქვენთვის დიდად სამძიმოა, მაგრამ დამიჯერეთ არც აგრე სამწუხარო არის. თქვენი მნახველი იფიქრებს, თითქო თქვენ ამ სოფლად ყველაფერს ჰკარგავდეთ. ჯერ ყმაწვილი ხართ, ფართო და კარგი მომავალი ცხოვრება გიდევთ წინა. თქვენ დაუღგრომელი მშრომელი ხართ და კარგად ნასწავლი; ამის გამო შეგიძლიანთ ყველგან ბედნიერად მოეწყოთ. თქვენ ყველგან საჭირო კაცი იქნებით და ყველგან სიყვარულს და პატივისცემას მოიპოვებთ.

ჩემს ლაპარაკზედ ლარინისა თან-დათან მშვიდდებოდა; მე მიხაროდა ესა და მინდოდა გამევრცელებინა ლაპარაკი,—მაგრამ იმან უცებ დაიწყო ლაპარაკი აჩქარებით და გულის ამადღულებელის ხმით.

— ნუ თუ თქვენ გგონიათ, მე თვითონ არ ვიცი, რომ ვიპოვი ცხოვრებაში ყველას, რასაც თქვენ მპირდებით და გსურთ ჩემთვის? მე ვიცი, რომ საქმესაც ვიშოვნი, ალაგს დავიჭერ საზოგადოებაში, ხალხსაც ვიპოვი, მაგრამ... ხმა შეუკანკალდა, ისევ დაღონდა და წყნარად წარმოსთქვა:—მაგრამ მე ვერ ვიპოვი იქ ჩემს თავს, იმას, რაც ვიყავი, ვერ ვიპოვი საგანს ჩემის სიცოცხლისას, რომელმაც ჩემთვის სრულიად დაჰკარგა დღეის იქით აზრი და მნიშვნელობა. მე დავიწყებ ხალხში სიარულს, აღვასრულებ ნამდვილად ყოველ საქმეს,—მაგრამ მივემგზავსები უსულო მაშინას, იმისათვის, რომ ყველაფერს, რაც მე სულს მიდგამდა, აქა ვსტოვებ, ამ წრეში, რომელსაც მე სულით და გულით შევუერთდი...

— კმარა, ანნა ანდრეევნა, თქვენ უმართლოდ ლაპარაკობთ. მწუხარების ჟამს თქვენ ბნელად და შავად ჰხედავთ ყველაფერს.

— ოჰ, რა რიგად სცდებით, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ, მითხრა მწუხარებითი თავის ქნევით ლარინისამ და თვალები აევსო ცრემლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვარდა და მეორეს მხრივ— ზაასის დროს საზოგადოებაში სუფევდა... სრული უწესობა. მეორე მიზეზად კი თვით საზოგადოების გამოუცდელობა უნდა ჩაითვალოს... დაიჯერო, საზოგადოების უმრავლესობა ვერა ხედავდა—საითკენაც იყვნენ მიმართულნი ზოგიერთა პირთ გრძნობანი და სიტყვა-პასუხი?..

ბოლოს, რის ვაი-ვაგლახის შემდეგ, მიიღო კრებამ თვისი კომისიის მოხსენება და, თავ-მჯდომარის წინადადებით, დაადგინა შემდეგი განაჩენი: პირი ამ მოხსენებისა გარდაეცეს მმართველობის წევრს და დახლიდარს ალ. თ—ევს და დაინიშნოს შემდეგისათვის კრება მოსასმენად პასუხისა იმ კითხვებზედ, რომელნიც გამომძიებელი კომისიის მოხსენებაში არიან წამოყენებულნი.

—

ამის შემდეგ გავიდა დრო და ხანი და აი კვალად ინიშნება საზოგადო კრება დეპოს წევრთა. წარსული თიბათვის 30-ს, როგორც ზემოთაც მოვიხსენიე, შეგროვდა თვრამეტი წევრი საზოგადოებისა. ამის უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ დღეს უსათუოდ შესდგებოდა კრება, რადგანაც, წესდების ძალით, მეორე კრება მოხსენებულ წევრთა რიცხვსაც შეეძლო გაეხსნა. მაგრამ, წარმოიდგინეთ განცვიფრება საზოგადოებისა, როდესაც იგივე თავმჯდომარე წამოდგა და დარბაისლურის სიდინჯით გამოაცხადა: ეს კრება პირველი კრებაა და რადგანაც ცოტანი ვართ, ამიტომ სხდომა ვერ მოხდებაო...

— რას ბძანებთ, ეუბნებიან აქეთ-იქიდამ—ეს არის მეორე კრება, გაგრძელება ხუთ მაისის კრებისა... მაშინ დავიწყეთ საქმე, მაგრამ, რადგანაც ბ. თ—ევს არა ჰქონდა დამზადებული მასალა საჭირო პასუხის მოსაცემად, ამიტომ გაგრძელება და დასრულება მისი გადავდეთ შემდეგისათვის და აი ეს შემდეგი არის დღევანდელი დღე... მსევე აზრია გამოხატული ხუთ მაისის კრების განაჩენში... მიაქციეთ, ბატონო, მას ყურადღება, გასინჯეთ იგი!..

— არა, არ შეიძლება — ბძანებს თავმჯდომარე — იურიდიული უკანონობა იქნება ამ კრების მეორე კრებად ჩათვლა...

— არ შეიძლება, აგვიხსნათ: რომელ უკანონობაზე ლაპარაკობთ თქვენ? რაში ხედავთ ამ უკანონობას?.. იძახის რამდენიმე წევრი...

— ახსნა საჭირო არ არის... ამბობს თავმჯდომარე—უკანონობა კი რომ იქნება, ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ...

ამის შემდეგ, თავმჯდომარე მოუბრუნდა საზოგადოებას და მისცა შემდეგი კითხვა: ეს კრება პირველად ჩაითვალოს, თუ მეორედ?.. საზოგადოებამ თითქმის ერთხმად მეორე კრებად აღიარა იგი.

მე თქვენი თავმჯდომარეობა აღარ შემიძლიან—სთქვა ბ. ბ—კომ და გასწია კარებისაკენ.

მაგრამ ამას რას ვხედავ?!.. ყველანი უცებ ჩაფიქრდენ და შემდეგ მოწიწებით დაუწყეს მიმავალს თხოვნა: ნუ ინებებთ, ეგრემც ღმერთი გაამრავლებს თქვენს ცოლ-შვილს; მობძანდით, დარჩით და როგორც თქვენი ნება გახლდეთ, ისე მოვიქცეთო... მობრუნდა თავმჯდომარე და ბძანა: კრება არ შესდგა დღესა!. მომიტანეთ კალამი განაჩენის დასაწერად... კალამი მიართვეს და მანაც დასწერა: რადგანაც კრებაზედ გამოცხადდა მცირე რიცხვი საზოგადოების წევრთა, ამისგამო არ შესდგა იგი დღეს და მეორე კრება გადაიდო ენკენისთვის 16-ისათვის... პატივცემულმა წევრებმა მოაწერეს ხელი ამ განაჩენზედ და ფაცი-ფუცით საჩქაროზედ გალაგდენ საკრებო დარბაზიდამ...

ც—ველი.

გორი.
მკათათვის 1-ს.

## უცხოეთი.

—

**საფრანგეთი.** გაზეთებში ვკითხულობთ შემდეგს ტელეგრამას, რომელიც მიუღიათ პარიჟიდამ ივნისის 25-სა: „დეპუტატთა პალატაში ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა, რომ ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ ყოველი ღონისძიებაა მიღებული და პარიჟის სანიტარული მდგომარეობა ჩინებულია, ასე რომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ნაციონალური დღესასწაულის გადადებისაო. ფერიმ განაცხადა, რომ ტიანძინის ხელ-შეკრულობის დამტკიცება ნამდვილად მივიღეთო. «მმართებლობამ—სთქვა შემდეგ ფერიმ—მოსთხოვა ჩინეთს დაკმაყოფილება ტიანძინის ხელ-შეკრულობის მუხანათური დარღვევისათვის და ელის ჩინეთისაგან ამის პასუხსა; მმართებლობა პატივს აცემინებს ხელ-შეკრულობათათვის და ზომიერად, მაგრამ მტკიცედ კი იმოქმედებს ამ საქმეში». დეპუტატთა შორის ხმებია გავრცელებული, ვითომც მმართებლობა სთხოვდეს ჩინეთს 250 მილიონს დასაჩუქრებას. ზოგიერთა გაზეთები ამტკიცებენ, რომ ფრანცუზები დაიპყრობენ ჩინეთის ნაპირზე ზოგიერთა ადგილებს, ვიდრემდის მიიღებდენ ჯეროვანს დასაჩუქრებას.

იქიდამვე იწერებიან, რომ დოქტორს როშარს, რომელიც ტულონში ყოფილა ხოლერის გამოსაკვლევად, უთქვამს, რომ გემებზე მოსამსახურეთა შორის ხოლერა თან-და-თან მცირდებაო და ტულონში გაჩენილი ხოლერა ადვილი სახდელიაო.

შანხაიდგან მოსვლიათ ფრანცუზულს გაზეთებს თავის კორესპონდენტებისაგან ამბავი, რომ ჩინეთში კიდევ აღძრულა ლაპარაკი საფრანგეთთან ომის დაწყების შესახებ იმის გამო, რომ პეკინის სასახლეში ძლიერი დასია თურმე, რომელსაც ომი სურს და მმართებლობასაც აძალადებს, რომ ომი გამოუცხადოს საფრანგეთს. თვით ძენგიც იმას თურმე ქადაგობს, რომ საფრანგეთსა და ჩინეთს შორის ახლად შეკრული პირობა დაირღვეს. ამბობენ ომიანობის მომხრე დასი გაიმარჯვებსო. ფრანცუზების ესკადრას ბძანება მიუღია, რომ დასდგეს შანხაის პირ-და-პირ და იქ იცადოს, ვიდრემდის სხვა ბძანება მიუვიდოდეს.

—

**ეგვიპტე.** ქაირიდგან იწერებიან ინგლისურს გაზეთებში, ვითომც რამდენსამე ქაირში მცხოვრებს არაბის შთამამავლობის პირს მიეღოს მაჰდის მომხრეთაგან წერილები, ვითომც ეს წერილები ხართუმიდგან იყვნენ გამოგზავნილნი და ვითომც მათნი ავტორნი იწერებოდენ, რომ ეს ქალაქი მაისის დამლევს უომრად დაუთმეს აჯანყებულებს მასში მყოფმა ჯარებმაო, რომლებზედაც იმოქმედა მაჰმედ-ახმედის პროკლამაციებმა და ამის გამო გადასწყვიტეს ნებაყოფლობით დამორჩილებაო; ევროპიელთა უმეტესმა ნაწილმა მაჰმადიანობა მიიღო. გორდონმა არ უღალატა თავის სარწმუნოებას და მაჰდის ბანაკში იმყოფება. იმას ურჩევენ გაიქცეს და თავი დაიხსნას ტყვეობიდამ, მაგრამ ის ზიზღით უყურებს ამ რჩევას და სათაკილოდ მიაჩნია გაპარვაო. მაჰდის მხედარნი კარგად ეპყრობიან ევროპიელებს და სრულიად არაფერს არ უშავებენ მათ. ქაირში ლაპარაკობენ, ვითომც იქაურს ვაჭრებს მოსვლოდეთ ხართუმიდგან ამბავი, რომ ქალაქი აღებულია და შეუძლიანთ ამას

---

— თქვენ, მე მგონია, ფიქრობთ, რომ ეს გატაცება სოფლით და სოფლურის ცხოვრებით შემთხვევით აღიძრა ჩემში მხოლოდ იმისთვის, რომ უსაზედად მოველ აქა. სრულებითაც არა. მე მიყვარს სოფელი, როგორც ნამდვილი, სადი წრე, რომელშიც ყველაზედ უმეტესად კაცს შეუძლიან დარჩეს უმანკოდ, გაუფუჭებლად და სადაც ნამდვილ საჭიროებათა შორის, გაურკვეველ ბნელ გლეხ-კაცობაში, შეიძლება სასარგებლოდ და საჭირო კაცად გეგულებოდეს თავი. ამას გარდა, აქ სპეციალურ საქმეებსაც აქვთ ნამდვილი მისადგომი ადგილი. აქ ჩემთან მოდის ხალხი ნამდვილის არა-მოგონილის სნეულებათა მიერ შეპყრობილი, რაც არ ხდება ხოლმე ქალაქებში. ყველაზედ პირველი ის არის, რომ დიდი გულ-წრფელობა და გამთბარი გრძნობა აკავშირებს ხოლმე ამ გვარ პირთა შორის მკურნალსა და ავადმყოფებს და უნდა იცოდეთ, როგორ უდგამს სულს და ამხნევებს კაცს ესრეთი კავშირი, რომელშიაც არც სიცრუვეა და არც ფლიდობა.— ოჰ, სულ ყველას ხომ ვერ ჩამოვსთვლი, — დაიქნია მან ხელი და ჩაღუნა თავი.— გმადლობთ თქვენ მონაწილეობისათვის,—განაგრძელა მან, შეჩერდა და წამოდგა,—მე სრულიად, სრულიად მესმის და ვგრძნობ ჩემდა სანუგეშებლად ნათქვამს თქვენს სიტყვებს, მაგრამ ეგ ეხლა შესაძლებელი არ არის. მომიტევეთ და დამტოვეთ მარტო.

განვშორდი და ვერ გავბედე განმეორებით ლარინისასთან შესვლა. სხვისგან შევიტყე, რომ ის სამგზავროდ ემზადებოდა და ამასთანავე განაგრძელებდა თავის საქმეებს საავადმყოფოში, დადიოდა სოფლად ავადმყოფებთან და ჰფარავდა თავის წასვლის დღესა, ერიდებოდა გრძნობის ამაღელვებელ სცენებს და ხალხის მიერ სინანულის მოთქმასა და გამოცხადებასა.

მაინც წასვლის დღეს საავადმყოფოსთან მოგროვდა დიდი ხალხი. მეც წაველ ლარინისასთან გამოსასალმებლად და ვნახე ის უფრო უმეტესად გამოცვლილი. სულ შავებში, ფერ მიხდილი და გამხდარი, დაწითლებულის თვალებით და სევდიანის სახით, იგი გულში ღრმა სევდას აგიშლიდათ ამ გამოსალმების წამს. იმისი დანახვა უცრემლოდ არ შეიძლებოდა, მხოლოდ ავადმყოფები ესალმებოდენ, პირჯვარს სწერდენ და ცრემლით ამბობდენ:—ღმერთმან სამაგიერო კეთილი მოგანიჭოს, რომ ჩვენთვის ასე ზრუნავდი.

ლარინისა რომ გამოვიდა კარებთან, მოეხვია ჯგუფად გლეხ-კაცობა. იმათ მიართვეს პური და მარილი, შეხვეული სახით ნაკერ პირსახოცებში.

— მიიღე ჩვენგან სახსოვრად, დედაო!—დაილაპარაკეს რამდენმამე დედა-კაცებმა.

— ჩემო მეგობრებო! უამისოდაც მე არასოდეს, არასოდეს არ დაგივიწყებთ,—ცრემლ-მორეული ეუბნებოდა მათ ლარინისა და ეხვეოდა ახლოს მდგომ დედა-კაცებს.

— ნება მოგვეცი, ცოტა შორს გაგაცილოთ, გიყუროთ უკანასკნელად კიდევა, ჩვენო სასურველო!

— კარგია, მაშ მეც ქვეითად გამოვივლი თქვენთანა, სთქვა ანნა ანდრეევნამ—და ჩვენ ყველანი გავყევით თანა.

გზაში ის ხელ-ახლად გამოცოცხლდა და ლაპარაკი არ შეუწყვეტია გლეხებთან, აქ უმეტესი ნაწილი ადრინდელი ავადმყოფები შეყრილიყვნენ, ანუ მათი ნათესაობა, რომელთაც პირადად იცნობდა და ყველას სახელი ახსოვდა. იმან იცოდა ყველას ყოფა-ცხოვრება სათითაოდ და ეხლა ცდილობდა უკანასკნელი დარიგება მიეცა მათთვის, ესწავლებინა და ნუგეში ეცა.

ორი ვერსი გაიარა მან ფეხით და მერე შესდგა.

— საკმაოა,—მიუბრუნდა ის ყველას.—თქვენ სახლში საქმე გელით, ბავშვები გიცდიან, დრო არ უნდა დაჰკარგოთ. მშვიდობით და ნუ დაივიწყებთ ჩემს რჩევას და დარიგებას!

მან სწრაფად ჩამოიფარა პირბადე, საჩქაროდ ჩაჯდა სანაში, დაგვიქნია ხელ-სახოცი და მიეფარა მიხვეულ გზასა.

—

ჩემმა მეგობარმა გაათავა ამბავი და ღრმად ჩაფიქრდა. სწრაფად-მსვლელი მატარებელი გაჩქარებული მიგვაქანებდა და უფრო-და-უფრო გვაახლოვებდა მოსკოვს.

ნ. ერისთავისა.

იქით თავისუფლად გაგზავნონ იქ თავიანთი საქონელიო.

ამ გვარად, მოყვანილი ამბებიდგან სჩანს, რომ გორდონი ტყვედ არის ჩავარდნილი; მაგრამ ამასთანავე ქაირიდამ ისეთი ამბებიც მოსულა, რომელნიც ამტკიცებენ ვითომც თვით მაჰდი ჩავარდნოდეს ტყვედ მის მოწინააღმდეგე თემთ. „რეიტერის სააგენტოს“ სიტყვით, მაჰდი წასულა ობეიდიდგან ხართუმის ასაღებად, მაგრამ ამ დროს შეუტყვია, რომ მისნი მოწინააღმდეგენი გზის შეკვრას უპირობენ; ამისათვის გზიდგან ისევ უკან დაბრუნებულა. ამ დროს დახვედრიან მას გზაში მომტრე არაბები და ტყვედ წაუყვანიათ იგი.

—

**ოსმალეთი.** ნელ-ნელა აშკარავდება ბედ-კრული მიდჰად-ფაშის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი. ერთს მიდჰად-ფაშის მეგობართაგანს მიუღია სტამბოლში წერილი ერთის მათთან ერთად ტაიფში გაგზავნილი ამხანაგისაგან. ეს წერილი სრულიად სხვანაირად ხსნის წარჩინებული მიდჰად-ფაშის სიკვდილის მიზეზს. წერილის ავტორის სიტყვით, ამ რამდენიმე თვის წინად სულთანის ადიუტანტს ტაჰირ-ბეის მიუტანია მეკის ვალი ოსმან-ფაშისთვის სულთანის ბარათი, რომლითაც მას ფელდმარშლობის ხარისხი ებოძებოდა, და ამასთანავე ადიუტანტს გარდაუცია ხსენებული ვალისთვის ბძანება იმის შესახებ, თუ როგორ მოიშოროს თავიდგან მიდჰად-ფაშა და მისი ამხანაგები. ამ ბძანების ასრულება ვალის მიუნდვია ჩერქეზის მაიორი ბექირ-ეფენდისათვის და საკუთრად ამ საგნისათვის გაუგზავნია იგი მექქედამ ტაიფში. ბექირ-ეფენდი მარტში მისულა ტაიფში და მაშინათვე განკარგულება მოუხდენია, რომ მიდჰად-ფაშას და მის ამხანაგებს ძლიერ ცოტა სასმელ-საჭმელი ეძლიოთ. ამ დროს მიდჰად-ფაშა ძლიერ ავად თურმე იყო და ამისთანა გაჭირვებულს დროს ბექირ-ეფენდის აღუკრძალავს ექიმებისთვის მისი წამლობა. მიდჰად-ფაშის ამხანაგების თხოვნა და ვედრება, რომ მოსამსახურე მაინც დაუტოვონ ავადმყოფს, ამაო იყო. სხვა გაგზავნილითაც: მაჰმად-დამად-ფაშას, ნური-ფაშას და ჰაირულლახ-ეფენდისაც ჩამოაცალეს მოსამსახურენი. ბექირ-ეფენდის წაურთმევია მათთვის აგრეთვე საწერ-კალამი, ქაღალდი და თვითონ მათთვის დაუწყებინებია თავიანთ თეთრეული საცვლის რეცხვა. თვრამეტი დღის შემდეგ მოსულა სტამბოლიდგან ტელეგრამა, რომლის ძალითაც ხსენებულ პირთათვის მოსამსახურენი ისევ დაუბრუნებიათ, მაგრამ სასმელ-საჭმელი კი არ მოუმატებიათ. ისე შეწუხებულან და დასუსტებულან სიმშილისა და სხვა ბექირ-ეფენდის მიერ მოგონილ ტანჯვათაგან ეს უბედურნი, რომ მარტის 22-ს სტამბოლში მიწერილ წერილში სამუდამოდ ეთხოვებიან თავიანთ მეგობრებს. ეს წერილი ნათლად თურმე ჰხატავს მიდჰად-ფაშის სიკვდილის მიზეზს. სტამბოლში ხმები გავრცელებულა, ვითომც ჰაირულლა-ეფენდიც მომკვდარიყოს და მაჰმედ-დამათ-ფაშაც ჭკუაზე შეშლილიყოს.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივლისის 4-ს.

**ჰელსინგფორსი.** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა: გადასდვას 10,000 ფინური მარკა ხოლერის წინააღმდეგ გასაფრთხილებელ საშუალებათათვის და, თუ გაჩნდა ხოლერა, ამ ფულს კიდევ მოუმატოს.

**ლონდონი.** საფრანგეთის ელჩმა მოსთხოვა ჩინეთს ტონკინიდგან ჩინეთის ჯარების გაყვანა და დასაჩუქრების მიცემა; მაგრამ ჩინეთის უზენაესმა რჩევამ უარჰყო ეს მოთხოვნილობა; ამისაგამო, როგორც ეტყობა, ომი აუცილებელია.

**პარიჟი.** იმ უწესოებისათვის, რომელიც 2 (14) ივლისს პარიჟის ქუჩებში მოხდა, პოლიციის კომისარი სამსახურიდგან დაითხოვეს.

სენატის კომისიამ გადასწყვიტა გარდახილვა კონსტიტუციის მე-8 მუხლისა, რომელიც შეეხება სენატის უფლებათ საფინანსო საქმეებში; ორივე პალატები ოქტომბერზე ადრე არ შეიკრიბებიან.

ტულონში მოკვდა ხოლერისგან 29 და მარსელში 50 კაცი.

ივლისის 5-ს.

**პეტერბურგი.** სანიტარულმა კომისიამ გადასწყვიტა, რომ ყველა სახლში იყოს წიგნი, რომელშიაც რევიზიის მომხდენმა ექიმებმა ჩასწერონ ხოლმე, რასაც კი სანიტარულის წესის დარღვევას შეამჩნევენ. ამას გარდა ექიმებმა უნდა გასინჯონ ფაბრიკები, დიდი არტელები, გომები, გააწმენდინონ მდინარეები და არხები და სხვ. გადაწყდა კიდევ, რომ დაწესდეს რამდენიმე მცირე თავ-შესაფარი სახლი, რომელნიც, თუ ხოლერა გაჩნდა, ლაზარეთებად გადააკეთონ.

**კონსტანტინოპოლე.** საფრანგეთის იმ გემებმა, რომელნიც ალჟირიდამ და თუნისიდამ მოდიან, ხუთის დღის ობსერვაციის მაგივრად ათის დღისა უნდა გამოიარონ.

**პარიჟი.** იმედი აქვთ, რომ საფრანგეთისა და ჩინეთის შორის უთანხმოება მორიგებით გათავდება.

**ვენა.** გამოძიების დროს ანარხისტები გამოტყდენ, რომ დამნაშავენი არიან სამის ბანკირის მკვლელობაში გაცარცვის გულისათვის და აგრეთვე ვენის პოლიციის კომისარის გლუბეკის მკვლელობაში. ამას გარდა აღიარეს; რომ ბანკირები დახოცეს იდუმალი კომიტეტის განკარგულებით და რომ ნაცარცვი პარტიის კასაში შეიტანეს.


# განცხადებანი

—

მოწყობილობა

**წიწილების გამოსაჩეკავად.**

ორმოცი კვერცხის გამოსაჩეკად გაგზავნით. . . 23 მან.
გაუგზავ. 22 ,,
ასისათვის ,, 35 ,,
ასზე მომეტებულისათვის თითო ასზე. . . . . 5 ,,
600-მდე, ხოლო 600-ზე მეტი თუ იქნება ასზე. 10 ,,
გამზავნისათვის 3 მან. ფუთზე რუსეთის ყველა ქალაქებში, კავკასიაში კი 1 მან. 50 კაპ.

ასის კვერცხისათვის მოწყობილობა იწონს 2 ფუთს.

**იქვე.**

იქვე მომზადებულია ახლის მოწყობილობის ცინკის გასნები, ძალიან ადვილი გადასატან-გადმოსატანი, რადგან არა ფუჭდება და 20 წელიწადი შეუძლიან გასძლოს; თავდებობით კვიდი ძალიან იაფად, ადრესი: მეხანიკური ქარხანა სახელწოდებით „სოფლის მეურნე“, არსენალის აღმართთან სასწორის პირდაპირ, ინტენდანტსტვოს გვერდზე, სახ. № 5.

თ. ალექსანდრე იაკობის-ძე ერისთავი.

(10—1)

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილის 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი— 9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლქსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

ვინც კვალს მიაგნებს ივნისის 26 დაკარგულის ოქროს და სხვა-და-სხვა ძვირფასის ნივთებისას და მოიტანს საპერის ქუჩაზე, სახლ. № 47, ათს თუმანს საჩუქარს მიიღებს.

(3—1)

გამოვიდა და ისყიდება:

**განკიცხული**

მოთხრობა

ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

თბილისში, «დროების» რედაქციაში და ზაქ. ჭიჭინაძის მაღაზიაში.
ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.
თელავში. ბ. როსტომაშვილთან.
ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.

გაიცემა ქირით ექსპლუატაციისთვის

**ორი ცყის დაჩა**

ამიერ კავკაზიის მხარეში:

ერთი,—1500 დეს. რკინის გზაზე, მეორე—1300 დეს. მდ. მტკვართან

პირობების შეტყობა შეიძლება:

**თბილისში**—ჟურნალი «იურიდიჩესკოე ობოზრენიეს» ადმინისტრაციაში,
**ქუთაისში**—დაფიცებული ვექილის თანა-შემწესთან თ. ანტონ ნიკ. ლორთქიფანიძესთან.

(10—2)


Доз. ценз. Тифлисъ, 5 Іюля 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.